საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№_____ „____“_____ 20 წ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N23/ნ ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს. საქართველოს განათლებისა და მაცნიერების მინისტრის 2014 წლის 10 იანვრის N1/კ-59 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ირაკლი კოპალიანი.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინაე წარმოდგენილ იქნა 730 განცხადება (საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სამინისტროში მოთხოვნა არ შემოსულა). ამათგან, 239 მოთხოვნა დაკავშირებული იყო განმცხადებლების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნასთან.

წარმოდგენილი განცხადებებიდან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეაგირება განხორციელდა ყველა

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52,
52 Dimitri Uznadze st., Tbilisi, 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2 31 89 40

მოთხოვნაზე. დასაბუთებული უარი ეთქვა 61 განმცხადებელს (აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). 10 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.

სამინისტროში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადმინისტრაციული დახმარების კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად), სამინისტროში ასევე განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება დამატებით 96 განცხადებასთან დაკავშირებით.

2014 წლის განმავლობაში წარმოდგენილ იქნა 2 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთაგან არცერთი დაკმაყოფილდა. 1 ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ იქნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (აღნიშნული საჩივარი ავტორმა გაიხმო უკან). სამინისტროს გადაწყვეტილება ერთ შემთხვევაში გასაჩივრდა სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით, რომელთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება ამჟამად მიმდინარეობს.

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა. ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სამინისტროს არ გაუწევია.

პატივისცემით,

თამარ სანიკიძე